სტუდენტთა X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

მოხარულნი ვართ გაცნობოთ, რომ **2026 წლის 18 მაისს** ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი ატარებს **სტუდენტთა X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას.** კონფერენცია ჩატარდება ონლაინ ფორმატში.

კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლიათ პროფესიული განათლების, საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს. **კონფერენციის ფარგლებში იმუშავებს შემდეგი სექციები:**

- საზღვაო მეცნიერებები;
- საზღვაო ინჟინერია;
- ლოგისტიკა;
- ჰუმანიტარული, სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- ბიზნესის ადმინისტრირება.

საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა უფასოა. რეგისტრაცია შესაძლებელია **2026 წლის 20 მარტის ჩათვლით.**

მნიშვნელოვანი თარიღები:

01 მარტი - 20 მარტი, 2026	კონფერენციაზე დარეგისტრირება;
31 მარტი, 2026	აბსტრაქტის გადმოგზავნის ბოლო ვადა;
03 აპრილი, 2026	აპლიკანტები მიიღებენ შეტყობინებას კონფერენციაში მონაწილეობის დამტკიცების შესახებ;
30 აპრილი, 2026	სრული ნაშრომის გადმოგზავნის ბოლო ვადა;
18 მაისი, 2026	კონფერენციის გახსნა;

ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას ორგანიზებას ყოველწლიურად უწევს.

კონფერენციის მონაწილეთა ნაშრომების კრებული და კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ელექტრონული ვერსია კონფერენციის დასრულების შემდეგ დაეგზავნება ყველა მონაწილეს. კონფერენციის ნაშრომთა კრებულში დაიბეჭდება მხოლოდ ის სტატია, რომელიც მოწონებული იქნება კონფერენციის სარედაქციო საბჭოს წევრების მიერ და დააკმაყოფილებს კონფერენციის მიერ ნაშრომისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

კონფერენციის სამუშაო ენებია: ქართული და ინგლისური.

კონფერენციის სორგანიზაციო კომიტეტი

- ელიდა ხვედელიძე - ბნუ-ს რექტორის მოადგილე აკადემიური მიმართულებით; ასოცირებული პროფესორი;
- ლალი ხვედელიძე - ბნუ-ს კანცლერი;
- ეკატერინე მუსხაჯბა - ბნუ-ს საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი;
- ნინო კორინთელი - ბნუ-ს სტუდენტური სერვისების სამსახურის ხელმძღვანელი;
- ნანა გიორგაძე - ბნუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი;
- მიხეილ ბარიშნიკოვი - ბნუ-ს ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახურის ხელმძღვანელი;
- მზევინარ ძირკვაძე - ბნუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის ხელმძღვანელი;
- ოთარ ცინცაძე - მახინჯაურის საზღვაო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- გიორგი ღოღობერიძე - ბნუ-ს სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის თავმჯდომარე;
- საბა ცინცაძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ლოგისტიკა“ სტუდენტი;
- გიორგი დავითაძე - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „სატრანსპორტო ლოგისტიკა“ სტუდენტი;
- დიმიტრო გოხაძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „საზღვაო ნავიგაცია“ სტუდენტი;
- ირაკლი ჭყონია - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „საზღვაო ნავოგაცია“ (ინგლისურენოვანი) სტუდენტი;
- ლუკა ენუქიძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „გემის მექანიკა“ სტუდენტი;
- რომან გაბუნია - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“ პროფესიული სტუდენტი;
- ნიკა გუნდაძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური“ პროფესიული სტუდენტი;
- მინდია ჯაყელი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ პროფესიული სტუდენტი;

სარედაქციო საბჭო

- პარმენ ხვედელიძე - ბნუ-ს რექტორი, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
- გიორგი გაბედავა - ბნსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, პროფესორი;
- ქეთევან გოლეთიანი - ბნსუ-ს ლოგისტიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- ასმათ დიასამიძე - ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- თენგიზ აფხაზავა - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ლოგისტიკა“ და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „სატრანსპორტო ლოგისტიკა“ ხელმძღვანელი; პროფესორი;
- ნინო ჭილაია - ბნუ-ს ასოცირებული-პროფესორი;
- ნუგზარ ბოლქვაძე - ბნუ-ს ასისტენტ-პროფესორი;
- კახაბერ ხინთიბიძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „გემის მექანიკა“ ხელმძღვანელი; ასოცირებული პროფესორი;
- ნაირა ტაბიძე - პროფესორი;
- თამილა არდემანაშვილი - ბნუ-ს ასოცირებული პროფესორი;
- ლევან გვარიშვილი - ბნუ-ს ასისტენტ-პროფესორი;
- ლევან ქარჩავა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“ ხელმძღვანელი;
- დავით ბერიძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური“ ხელმძღვანელი;
- დავით ბოცვაძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ ხელმძღვანელი;
- სპირო ივოსევიჩი - პროფესორი; მონტენეგროს უნივერსიტეტის საზღვაოსნო მეცნიერებების ფაკულტეტი (მონტენეგრო);

- სენკა ცეკულარაცი ივოშევიჩი - ასოცირებული პროფესორი; მონტენეგროს უნივერსიტეტის საზღვაოსნო მეცნიერებების ფაკულტეტი (მონტენეგრო);
- რიმა მიკიენე - ლიეტუას საზღვაო აკადემია, დირექტორის მოადგილე აკადემიურ საკითხებში (ლიეტუვა);
- პელინ ბოლატ - ასოცირებული პროფესორი; სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტი (თურქეთი);
- ალექსანდრე ლავისიერ - ასოცირებული-პროფესორი, KEDGE Business School (საფრანგეთი);
- რეჯინალდ კვედი - ახალგაზრდა მკვლევარი; ლექტორი; სტელინბოშის უნივერსიტეტი (სამხრეთ აფრიკა);
- ჰუ იანმინგ - ახალგაზრდა მკვლევარი; შანხაის საზღვაო უნივერსიტეტი (ჩინეთი);
- ნინო სამხარაძე - მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის მასწავლებელი.

ინფორმაცია მონაწილეთათვის

- კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლიათ პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს;
- აპლიკანტმა უნდა გაიაროს **რეგისტრაცია** ელექტრონული აპლიკაციის საშუალებით. სარეგისტრაციო ბმული: https://shorturl.at/Kib7h
- კონფერენციის მონაწილეთა ნაშრომების კრებული და მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ელექტრონული ვერსია კონფერენციის დასრულების შემდეგ დაეგზავნება ყველა მონაწილეს;
- ნაშრომის პრეზენტაციისთვის მონაწილეს დაეთმობა 5–8 წუთი, დისკუსიისთვის – 5 წუთი;
- აბსტრაქტი და სრული ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგ ელ-ფოსტაზე: bnustudconference@gmail.com
- კონფერენცია ჩატარდება ონლაინ ფორმატში, „Zoom“ პლატფორმის გამოყენებით;
- კონფერენციის ბმული ყველა მონაწილეს გაეგზავნება ღონისძიების დაწყებამდე ერთი დღით ადრე;
- სარედაქციო საბჭო უფლებამოსილია არ დაუშვას კონფერენციაზე არასრული დოკუმენტაციის მქონე აპლიკანტი ან გაუმართავად თარგმნილი აბსტრაქტის ავტორი;
- კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ დასტური აპლიკანტს გაეგზავნება ელექტრონულ ფოსტაზე. კონფერენციაზე დაშვებული აბსტრაქტის ავტორმა, სარედაქციო საბჭოს დასტურის მიღების შემდეგ, უნდა წარმოადგინოს ნაშრომის სრული ტექსტი;
- ნაშრომს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი ავტორი (მაქსიმუმ ოთხი);
- კონფერენციაში მონაწილეობა უფასოა;
- დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დაუკავშირდეთ საორგანიზაციო კომიტეტს შემდეგ ელ-ფოსტაზე: bnustudconference@gmail.com

დამატებითი ინფორმაცია კონფერენციის შესახებ იხილეთ ***დანართში***

დანართი

სტატიისადმი და აბსტრაქტისადმი წაყენებული მოთხოვნები

აბსტრაქტის შესრულების წესი:

- აბსტრაქტის მოცულობა უნდა შეადგენდეს 150–300 სიტყვას;
- აბსტრაქტი წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ენაზე: ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ნაშრომს უნდა ჰქონდეს მინიმუმ 4 საკვანძო სიტყვა;
- საკვანძო სიტყვები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- აბსტრაქტის გაფორმებისას აპლიკანტებმა უნდა ისარგებლონ შესაბამისი შაბლონით

ნაშრომის შესრულების წესი:

- სტუდენტთა ნაშრომები მიიღება ქართულ ან ინგლისურ ენაზე;
- ნაშრომი უნდა მოიცავდეს აბსტრაქტს ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ნაშრომის მოცულობა: მინიმუმ 4 და მაქსიმუმ 8 გვერდი;

ნაშრომის სტრუქტურა უნდა მოიცავდეს შემდეგ ნაწილებს:

- **შესავალი** – ნაშრომის აქტუალობის წარმოჩენა;
- **ძირითადი ნაწილი** – კვლევის მეთოდოლოგია და მიღებული შედეგები;
- **დასკვნა** – ძირითადი მიგნებები, შესაძლო რეკომენდაციები და სამომავლო პერსპექტივები;
- ნაშრომის ავტორის (ავტორების) სახელი და გვარი უნდა იყოს მითითებული ქართულ და ინგლისურ ენებზე (ქართველი მონაწილეებისთვის), ხოლო უცხოელი მონაწილეებისთვის – ინგლისურ ენაზე;
- ნაშრომთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ნაშრომის ხელმძღვანელის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ნაშრომს უნდა ერთვოდეს ბიბლიოგრაფია (გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა);
- ნაშრომი უნდა იყოს გაფორმებული **Chicago Style**-ის აკადემიური სტილის შესაბამისად.

ტექნიკური მოთხოვნები (ფორმატირება)

აბსტრაქტი და ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი პარამეტრების დაცვით:

- **შრიფტი** ქართული ტექსტისთვის - Sylfaen; ინგლისური ტექსტისთვის - TimesNewRoman;
- **შრიფტის ზომა:** სათაურები (თემის სახელწოდება, მონაწილის სახელი, გვარი, სასწავლო დაწესებულების დასახელება და სწავლების საფეხური (პროფესიული, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა),ხელმძღვანელის სახელი, გვარი აკადემიური ხარისხი, თანამდებობა) - 14 Bold;
- შრიფტის ზომა ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის - 12;
- ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5;
- გვერდის საზღვრები - 2,5 ყველა მხრიდან.
- ციტირება უნდა განხორციელდეს **Chicago Style**-ის მოთხოვნათა შესაბამისად; Chicago Style-ის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://cutt.ly/3c4BALx
- ნაშრომის გაფორმებისთვის აუცილებელია უნივერსიტეტის მიერ მომზადებული შაბლონის გამოყენება.